

გოდუძე

სამგაბი
111-3
ს.ე.ც.

№6, 2015



აბეგარი ლათვი

ვანო ჩხიკვაძე

ვერ მოეშვა უაზრო
წანწალსა და ხეტიალს –
მოაღაჯებს ტყეში
ცირკის დათვი „ფედიან“.

ვერ გაიგებ, რა უნდა
ან საიდან მოშავდა,
ბუნავები დალეწა,
სორიები მოშალა.
ზოგი გააპანღურა,
ზოგს ტორი მოუღერა.
ღრიალით და მუქარით
დააფეთა სუვეელა.

დანთქა ზამთრის მარაგი,
ხელადა და ტიკჭორა,
ფიჭითა და თაფლუჭით
კუჭი ამოიყორა.

ბობოქრობს და არ იცის
აბეზარმა „ფედიან“,
ეველა მოძალადეს რომ
ბოლოს ერთი ბედი აქვს –
არ ასცდება კომბალი
სხვიის თაფლის ტვლეზიას.



დაისსომა

ქანგი ჩამოიფერთხეს,
სამშობლოს შველა უნდათ,
დიდგორთან და ანისთან
დამიწებულ ხმლებს.
გაიზრდები, სიცოცხლე
სანთლად უნდა აუნთო,
ჩვენს მწუვალბებელ სალოცავს,
ხვალ თუ არა, ზევ.

დაისსომა, ვინც ფესვი
მოღალატეს გაუდგა,
ჩვენი დედა-სამშობლოს
მკერდზე გველი თვლემს,
თორემ ქსანთან რა უნდათ,
ან კოდორში რა უნდათ,
გვერდები არ აუდგათ
საქართველოს მტრებს!



ზიდეცავი!



დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია

ბიჭი და ქარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ბიჭი. კარგი ბიჭი იყო, განა ცუდი, მაგრამ ერთი ზნე ჰქონდა, ითამაშებდა, ითამაშებდა თავისი მშვენიერი სათამაშოებით, მერე მიყრი-მოყრიდა, ბურთს დასტაცებდა ხელს, ეხოში გავარდებოდა და ისმოდა ბურთის ბრახაბრუხი.

დიდუდა შუშაბანდში გამოვიდოდა, არეულ-დარეულ სათამაშოებს დახედავდა და სინანულით იტყოდა: „რა ვქნა, როდის უნდა დავალაგო მე ეს? სადა მაქვს ამისი დრო?“

მიდიოდა დღეები, მაგრამ შეუმჩნეველი არაფერია: თურმე, შუშაბანდის პირ-

დაპირ ხის ტოტზე ქარი ჩამომჯდარიყო, ყველაფერი კარგად ესმოდა. ერთხელაც მიაფრინდა შუშაბანდის ერთ სარკმელს და კარგა მაგრად მიაკაკუნა მინაზე. ბიჭი მიაწყდა სარკმელს, დააცქერდა დიდთვალება, ხუჭუჭ, ხშიროთმიან, გრძელხელ-ფეხა, მადალყელიან ქარს.

– გამიღე სარკმელი! – უბრძანა ქარმა.



– რატომ უნდა გავიღო? ვინ ხარ შენ?!

– მე ისა ვარ, ვინც შენს არეულ-დარეულ სათამაშოებს კარგად ხედავს და დიდებას წუხილიც ესმის, – შეუტია ქარმა.

– წადი აქედან, შენ ვინ რას გეკითხება?! – გაბრაზდა ბიჭი.

– ააა, შენ მარტო ფეთხუმი კი არა, უზრდელიც ყოფილხარ. – მიუგო ქარმა, სარკმელი შეაღო, შემოიჭრა შუშაბანდში, მიიზუილ-მოიზუილა, ააფრიალა სათამაშოები, მწკრივად გაასრიალა ღია სარკმელში და თვითონაც უკან გაჰყვა – უღრან ტყეს მიაშურა. ტყეში უხარმაზარი მუხა იდგა, მის ძირას გულა იდო. ქარმა ბიჭის სათამაშოები გულაში ჩაყარა, მუხის კენწეროზე აიტაცა, ჩამოკიდა და ჩაილაპარაკა: ბიჭია და ჩამოიღოსო.

ბიჭმა მიიხედ-მოიხედა, სათამაშოები რომ ვერ დაინახა, აღრიალდა, ცრემლი დაპაღუპით მოსდიოდა. დიდება გამოვიდა, ბიჭი გულში ჩაიკრა და ჰკითხა, რა იყო შვილო, რა მოგივიდაო?

– რაღა რა მომივიდა. ხედავ, ქარმა მოელი ჩემი სათამაშოები გაიტაცა.

– ეჰ, – ამოიხსრა დიდებამ, – რამდენჯერ გაგაფრთხილე, შვილო, რასაც ღმერთი მოგცემს, გაუფრთხილდი, მოეფერე, სათუთად მოექვეცი, თორემ ქარი მოვა და ყველაფერს ერთიანად წაიღებს-მეთქი.

ჩაფიქრდა ბიჭი, მაგრამ დამშვიდება ვერა და ვერ მოახერხა, ტიროდა და ტიროდა.

გავიდა რამდენიმე დღე. ტოტზე წამოსკუპებული ქარი ყურს უგდებდა ბიჭის ტირილს. განა არ ებრალებოდა? ებრალებოდა, ამიტომაც რაღაც ჩაიფიქრა.

ერთ კვირა დღეს ისევ მიადგა სარკმელს. დააკაკუნა თუ არა, ბიჭი ფანჯარასთან მივარდა, ცხვირი მინას მიაჭირა და ნათლად დაინახა, როგორ დაჰქროდა ქარი. სასწრაფოდ სარკმელი გამოაღო:

– მობრძანდი! მაპატიებ, უხეშად რომ მოგექვეცი?

ქარი შედგა, დააცქერდა ცრემლით სავსე თვალებით მომზირალ ბიჭს.

– თუ პატიოსან სიტყვას მომცემ, რომ ზრდილობიანი და გამრჯე იქნები, ყველაფერს გაპატიებ.

ბიჭმა ხელი გულზე მიიღო და ქარს ზღუქუნით უთხრა:

– პატიოსან სიტყვას გაძლევ, არასოდეს ჩემს სათამაშოებს აღარ მივეყრი-მოვეყრი, ყველაფერს გაგუფრთხილდები, შენც ძალიან მეყვარები.

ქარს გაელიმა, შუშაბანდში შესრიალდა და ბიჭს უთხრა:

– აბა, შემაჯექი ზურგზე.

სულ მალე ქარი მუხასთან მიფრინდა, ბიჭი ხის ძირას დასვა, თვითონ კენწეროდან სათამაშოებით გატენილი გულა ჩამოხსნა, ბიჭი ზურგზე შეისვა და შინისაკენ გააქროდა.




მხატვარი ბიორბი მაღრაძე



მხატვარი რუენა შელეგია

- გამოიცანი, რა ჰქვიათ კლოუნებს? ნენეს და ნატალის წითელი ცხვირები აქვთ, ნატალი დგას კეკეს და ელას შორის, სესილი არ დგას ხელეზზე, კეკე და ნატალი უკრავენ სალამურს, ნენე და ტასო ბურთს ვერ იყოფენ, ლალო ქვედა რიგში არ დგას;
- იპოვე ორი ერთნაირი ბურთი;
- იპოვე 8 კანფეტი და 6 პეპელა.

მეგობარი



ბევრი იმხიარულეს...



ყველა ფერი
სიზმარი ყოფილა!


უეცრად ლილის გამოეღვიძა...



მეორე დღეს სკოლაში მიმავალმა
გზაზე სათამაშო თავი შენიშნა.



მასთან ერთად
კიდევ ვიღაც
დაიხარა...



ლილი!

შენ რა გქვია?

მე ლუკა
ვარ!



ლუკა ლილის მეზობელი აღმოჩნდა...
მას შემდეგ საუკეთესო მეგობრები გახდნენ.

ბაბუანვერა

დავით ასლანიშვილი

ბაბუმ მინდვრად მოწყვიტა
თეთრი ბაბუაწვერა.
– ნახე, დედი, როგორ ჰგავს
ბაბუ ბაბუაწვერას.
ორი თეთრი ყვავილი
ღამაზია საცქერად.

ქარმა წამოუბერა,
სულ ფიფქებად გაწელა –
ხელში დეროდ შემორჩა
ბაბუს ბაბუაწვერა.

კიდევ მოვა გაისად –
არ მიიღოთ საწყენად –
ბაბუ ისევ გაფანტავს
ქარში ბაბუაწვერას.

ნახატი ავტორისა

თუ ვერმიშელის ჭამა არ გინდა,
შეგიძლია

ნანნავეები გააკეთო.



ჭიანჭველას თავის თავზე ათჯერ მეტი
ტვირთის აწევა შეუძლია.
ჭიანჭველებს, ალბათ,
მაგარი

კუნთები ექნებათ.



არასოდეს გი-
ფიქრია, რომ
სოკოებისგან
ლამაზი
ქოლგები
გამოვიდოდა?



სანამ სავარცხელს
მოიგონებდნენ, თმას,
ალბათ, ზღარბებით
ივარცხნიდნენ...



ინგლისური
სალხური
ზღაპარი

ჰიტოჩი და მსკინტყეა და მისი ქუჩები



მხატვარი როენა შელეზია

ერთ დღეს სასახლის კარისკაცებმა შენიშნეს, რომ მეფე უილიამი ფიქრებში ჩაფლულიყო და მოკრძალებით ჰკითხვს მიზეზი. მეფემ მიუგო:

– მსურს გამოვიცნო, ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემს ვაჟებს რა ბედი ეწევათ.

– დიდებულო მეფეო, – უთხრეს კარისკაცებმა, – თქვენი ვაჟების ბედ-იღბალი მათი მეფობის უნარზე იქნება დამოკიდებული, მეფობის უნარი კი მათ ზნე-ხასიათზე. თუ ნებას დაგვრთავთ, ჩვენ გამოვარკვევთ, რისი შეტყობაც გწადიათ, და მოგახსენებთ.

დასტურის ნიშნად მეფემ თავი ოდნავ დახარა. კარისკაცებმა ითათბირეს და გადაწყვიტეს, სათითაოდ გამოეკითხათ უფლისწულები. პირველად მეფის უფროსი ძე, რობერტი იხმეს.

– ბატონო ჩემო, – მიმართა მას ერთმა კარისკაცმა, – გთხოვთ, გვიპასუხოთ: უფალს რომ ფრინველად გაეჩინეთ, რად არჩევდით ყოფნას?



18:05	09:35	16:45	13:35
-------	-------	-------	-------

22:35	06:55	11:15	02:35	21:30	09:00	19:10
-------	-------	-------	-------	-------	-------	-------

23:25	10:40	07:35	14:50	20:10
-------	-------	-------	-------	-------

დაშიფრული ანდაზის ნაკითხვაში საათის ნუთის მაჩვენებელი ისარი დაგეხმარება.



– ქორაღ, რადგან იგი მამაც და ზრდილ რაინდს მაგონებს, – მიუგო რობერტმა.

ახლა შუათანა ძე, უილიამ რუფუსი წარუდგა კარისკაცებს.

– მე არწივობას ვისურვებდი, – თქვა მან, – ის არის ყველაზე ძლიერი და ძლევამოსილი ფრინველი, ყველას მისი ეშინია და ამიტომაც ფრინველთა შორის მეფობაც მას უპყრიაო.

ბოლოს მეფის უმცროსი ვაჟი, კეთილად განსწავლული ჰენრი შეძოვიდა.

– ჩემს სურვილზე რომ იცოს, ვისურვებდი, ღმერთს შოშიად გავეჩინე, – უთხრა მან კარისკაცებს, – ის ხომ უწყინარი მგალობელი ჩიტია, თავის სარჩოს თვითონ შოულობს, სხვას არაფერს ართმევს, არავის ერჩის.

უფლისწულებთან საუბარს რომ მორჩნენ, კარისკაცები მყისვე მეფეს ეახლნენ და მოახსენეს:


– რობერტი მამაცი და უშიშარი მეფე იქნება, დიდ სახელსა და პატივს მოიხვეჭს, მაგრამ ბოლოს სძლევენ და საპრობილეში ამოხდება სული; უილიამი არწივივით ძლიერი და ძლევამოსილი იქნება, მაგრამ ყველგან შიშს დათესს,




სისასტიკის და ძალმომრეობის გამო შეიძლებენ და სავალალოდ დაასრულებს თავის უკეთურ ცხოვრებას; ჰენრი კეთილგონიერი და გამჭრიახი იქნება, მშვიდობიანად იცხოვრებს, ვრცელ სამფლობელოებს შემოიძტკიცებს და უშფოთველად აღესრულებაო.

და, როდესაც მეფე უილიამს აღსასრულის ჟამი დაუდგა, სასიკვდილო სარეცელზე მყოფს გაახსენდა კარისკაცების ნაწინასწარმეტყველები და სამეფო სამივე ვაჟს გაუნაწილა – რობერტს ნორმანდია უანდერძა სამფლობელოდ, შუათანა ძეს, უილიამს – ინგლისი, ხოლო უმცროსს, ჰენრის, მთელი თავისი ავლადიდება და განძეული დაუტოვა. საბოლოოდ ის ქვეყნებიც ჰენრის დარჩა და მან დიდხანს და სვებედნიერად იმეფა. ასე ახლა ბრძენი კარისკაცების წინასწარმეტყველება.

თარგმნა მირიან ბარდაველიძემ



დათვალე, რამდენი შეცდომა დაუშვეს ბავშვებმა მიმატება-გამოკლების დროს.





კი კო-რი კო

ბევრი კარგი თანაკლასელი მყავს. კარგს რომ ვამბობ, განა მარტო სწავლაში არიან კარგები. არა, მეგობრობაშიც, წესრიგშიც, გულისხმიერებასა და გულმოდგინებაშიც. ამდენი კარგი თვისება რომ აქვთ, სწავლაში როგორღა იქნებიან ჩამორჩენილები.

ოღონდ ერთი ბიჭია, რალაც უცნაური. არა, ცუდი კი არ არის, თითქოს უცნაურია. რატის, ზემოთ რომ ვთქვი, ყველა ეს კარგი თვისება ახასიათებს; გარეგნულადაც ვაჟკაცური ვინმეა, რამდენადაც შეიძლება ვაჟკაცური იყოს მესამეკლასელი, მაგრამ მარტო ყოფნა უყვარს. მერხზეც მარტო ზის. ხან გოგონასთან დასვა დამრიგებელმა, ხან ბიჭთან, ხან ვისთან და ხან ვისთან. არა, არც ჩხუბობს, არც ვინმეს რამეს უშავებს. უბრალოდ, როგორც კი დროს იხელთებს, წავა და კლასის ბოლოს უკანა მერხზე მარტო დაჯდება. მარტო დაჯდება და თავისთვის რალაცას ფიქრობს. ამ დროს რატომღაც მოწყენილიც არის.

იმას რომ შევხედავ ასე განმარტოებით მჯდომარეს, ბებია მახსენდება — ბებია რა შუაშია?! — ბებიაჩემი რომ დამინახავდა ასე მარტოსა და მოწყენილს, აუცილებლად მოვიდოდა, თავზე ხელს გადამისვამდა და მეტყოდა: — შვილო, რა კიკოსავით მარტო დამჯდარხარ, ნადი, შენს ტოლებში გაერიე და მოწყენაც ქარს გაატანეო.

ჰოდა, მეც მინდა, მივიდე ამ ბიჭთან, თავზე ხელი გადავუსვა და ვუთხრა: — ადექი, ჩვენთან ითამაშე და მოწყენაც ქარს გაჰყვებამეთქი.

ერთ დღესაც, დიდ დასვენებაზე, როცა რატი ასე მოწყენილი იჯდა, ჩვენ კი ეზოში ჩასასვლელად ვემზადებოდით, მივედი რატისთან;

თავზე ხელი არ გადამისვამს, ისე ვუთხარი: — კიკო-რიკო, ადექი, რა მოწყენილი ზიხარ. ჩვენთან ერთად წამოდი ეზოში და მოწყენაც ქარს გაჰყვებამეთქი. შემომხედა, გაელიმა, — ეგ კიკო-რიკო ვილააო, — მკითხა გაოცებულმა. მე მხრები ავიჩიჩე, მაგრამ მაინც ვუთხარი: — შენა ხარ-მეთქი. ისე კი მართლაც არ ვიცოდი, ან ეს კიკო ვინ იყო და ან ეს რიკო საიდან გარჩინდა; მხოლოდ ის ვიცი, რომ იმ დღეს რატი ეზოში ჩვენთან ერთად ჩამოვიდა, ითამაშა და აღარც მოწყენილი იყო.



შერჩა იმ დღიდან ეს მეტსახელი — კიკო-რიკო, მაგრამ კი არ სწყინს, როცა ეძახიან, რატომღაც ელიმება და ძალიან, ძალიან მოწყენილიც რომ იყოს, კარგ გუნებაზე დგება. ზოგჯერ კარგია, ამხანაგს თუ კარგ მეტსახელს მოუძებნი.

მე ასე ვფიქრობ, შენ?



მხატვარი ნათია გუბურიძე



სორბელი ხნულში

ლალი ჯაფარაშვილი

ხნულში მხარენაცვალი

ოხრავს, ხენემის მარცვალი:

– მომეხმარე, მზის სხივო,
დღის სინათლე ვინილო!
სხივს ესმის და ნება-ნება
ხოდაბუნებს ეფინება,
მიწასა ხვევს ნაზ ხელებს
და თან მარცვალს ამხნევეს:
– არ შეშინდე, პატარა,
გაიარა სამთარმა
და იების კონითა
გაწაფსული მოვიდა.
ცამ ბამბურა ღრუბელი
ხოდაბუნსე დაწურა.
შენც იმარჯვე, სორბალო,
მიდექ-მოდექ კაცურად!

ხნულში მხარენაცვალი

დაფაცურდა მარცვალი,

ბნელში ხელის ფათურით

მოიძია ნაყური,

გაიხარა ძალიან,

დაეწაფა, დაღია,

დაღია და შეხარხარდა

და, რაც მოხდა, მეც მოხდა...

სორბლის ნეტარ ღიმილს

თან ამოჭევა ღივი!

ღივი, ღერო პაწაწინა

წრიზინებდა: – მცია!

მცია!

სხივს ესმა და თბილად,

თბილად

ხოდაბუნებს დაეფინა...

გათბა მიწა ხეშეში,

ღივს გაუთბა ხელ-ფენი.

იფაფსურა, იწვალა,

გადაწია მიწა და,

უფერო და კაუჭა,

მზის სხივს მოებლაუჭა!

სხივს ამოჭეავს ის ღივი

და გულებილად იღიმის!

მხატვარი ვაჟა კურსული

წვიმა



რად უნდა ამ თავსხმაში ნათლი-მარიას ლილა. რა ბევრი სარეცხი მაგას აქვს, ერთი კინკილა ქალია. უცებ მწვანე ხის ბაყაყი გადმომიხტა ბზის ბუჩქიდან. რა გინდა-მეთქი, ვეუბნები, ხმას არ იღებს. ააა! ეს შენ იყავი, წუხელის რომ არ დამაძინე? რა გაყიყინებს ამდენს, შე კაი კაცო, ღამით ყველა ნორმალურ ცხოველს სძინავს, შენ რას აკეთებ ამ დროს? დასკუპებულხარ ბზის ტოტზე და ყიყინებ. დედაჩემი იცინის – ბაყაყი ცხოველი კი არა, ამფიბიააო. მართლა? – ვეკითხები. ასე მანსოვს სკოლიდან, – ამბობს დედა. თვითონაც ჩამოვიდა და მეხმარება, ბარემ ავავსოთო, თან შიშველ ფეხებზე რეზინის ბოტები ამომაცვა. ავავსეთ. თეთრი გეორგინას ბუჩქი წაქცეულა. მიდი, წვრილი აკაციის სარებია სახლის უკან და ბარემ ავაკრათო. თუთას ტოტი აავლიჯა, გაატყავა – ავაკარით გეორგინა. ახლა ჭრელებიც ვნახეთ, ისინიც ძლივს იკავებენ თავს. ჟასმინს ნამეტანი სჭირს, მეცოდება, ყვავილები აქვს თორემ ავსხიპავდიო. შიშით შევხედე. იცინის დედაჩემი, ნუ გეშინიაო, ამბობს, დაიყვავილებს და მერეო.

სამზადის მხრიდან ქოთქოთი მოისმის. რა ხდება? ჩვენი მამალია, „ისიდორე“. ბებიჩემი „ცხენს“ ეძახის, „ისიდორე“ დედამ დაარქვა. ომის დროს გადამყიდველი ყოფილა, იმას ჰგავსო. მე მაინც ვერაფრით წარმომიდგენია, მამალი ცხენს როგორ უნდა ჰგავდეს ან ომისდროინდელ გადამყიდველს. მაინც რას ყიღდა-მეთქი, ვეკითხები დედას. ხელი ჩაიქნია – არ გამახსენო, ყველაფერსო. წვიმამ გადაიღო. „ისიდორეს“ მეორეჯერ გამოენთო ბებია. ვხედავ, ნახევარკეც მჭადს მოარბენინებს.

– დაიჭირეთ ეს გაფუჭებული, დაიჭირეთ! – ყვირის ბებია. დედა იცინის, გაანებე თავი, ეგ თავისას არ მოიშლისო.

– არ მოიშლის და, გიორგობას რომ თავს წავაცლი, მერეც ქნას თავისი შავბნელი საქმეებიო, – ცოცხი დაადევნა ბებია და სამზადში შებრუნდა. ამასობაში ნათლი-მარია მოგვადგათეთრი თუთით სავსე კალათით. დედამ წყრომით

წვიმს. თბილი წვიმაა. ვდგავარ ეზოში, ჭიმკართან. დიდი კამკამა გუბიდან ჭიაყელები ამომყავს. დედაჩემი მიწყრება აივნიდან:

– ამოდი, გოგო, გეყოფა. ტყუილად რომ სველები, ნათლი-მარიასთან გადადი და ლილა გადაუტანე.

– ლილა რად უნდა, წვიმს, – ვპასუხობ მე და სათამაშო პატარა ვედროს ვანჯღრევ. ცოტაც და ავავსებ. ხვალ სათევზაოდ მივდივართ მე და ჩემი ძმები.

რა გაუხარდებათ, ჭიაყელებს რომ დავახვედრებ! მამამ წაიყვანა ქალაქში, ფენსაცმელები უნდა უყიდოს. დედაჩემი უკვე მეხვეწება:

– წადი, დედა შემოგვევლოს, გადაუტანე. ერთ საათში გამოიდარებს, საღამომდე ეს გუბე აღარ იქნება. ნათლი-მარიას სარეცხი აქვს გასაფენი, ცოლოა.

– გასაფენი აქვს და გავაფენინებ. შენც მოგეხმარები ატმის დაკრეფაში. ოღონდ ეს ვედრო ამავსებინე, ბიჭებს გაუხარდებათ, – ვეხვეწები მე. ვიცი, ლილა არ აღარღებს, ეშინია, არ გავცივდე.

შემომხედა. მე ლილაზე გავვარდი კისრისტებით. გზაში „ისიდორეს“ გადავეყარე, ისევ მჭადს ძიძგნიდა – ვითომ საჭმელი აკლდა. შემძვრალიყო კიბის ქვეშ და ჯაჭვა დედალს უმასპინძლდებოდა. ეს დედალიც კარგი ვინმეა, ჯერ მოკრუნდა, მერე, ბებიამ კვერცხებზე რომ დასვა, აღარ ისურვა და გააცუდა. ნამდვილად „ისიდორეს“ შესაფერისია, ორივე უქნარა. ლილის პარკი კიბის ქვეშ ჰკიდია ლურსმანზე. სწრაფად ჩამოვხსენი. რა მზე გამოვიდა?! მივეხმარები ნათლი-მარიას სარეცხის გაფენაში – უკვე ერთი წელია, მანდობს ამისთანა რაღაცებს. მესამეში გადავედი. ის კი არა, ავად რომ იყო, ძროხაც მოვუწველე და ყველიც ამოვიყვანე. მარტო რძე ააღლე, შენ ყველს ვერ ამოიღებო, – მეხვეწებოდა მწოლიარე. კარგი-მეთქი, თავი დავუქნიე. მერე ქათქათა ყველი რომ შევეუტანე, შეიცხადა: ხელი კარგად დაიბანე თუ არაო! აბა რა, პატარა ხომ არა ვარ-მეთქი. გადაიკისკისა ნათლი-მარიამ, – ოო! შე ერთხელ უკვე დაბერებულო.

ახლა ორღობეში მივბაასობთ. გზაზე აკაციის ყვავილები ყრია. ჩიტები მზეზე თბებიან. ზაფხულის სურნელი დგას ირგვლივ – ხვალ ნამდვილი სათევზაო ამინდი იქნება.

მხატვარი **თამთა მამუკელაშვილი**



ბა

 მომისმინე, ჩემო კესო,
 გამოცანას გეტყვი ერთსო,
 შინაური ცხოველია,
 კრუტუნებს და კნავის ბევრსო,
 კარაქი და ყველი უყვარს,
 ეშინიათ თავუნებსო.
 შენ თუ ამას გამოიცნობ,
 გაჭმევ თხილს და კანფეტებსო.

მო

 ცხოველი არის ცბიერი,
 კუდი აქვს გრძელზე
 გრძელია,
 ქათმებს იპარავს სოფელში,
 აბა, ვინ არის?

ცა

 შინ და გარეთ ნითელია,
 წვრილმარცვლოვან ძონეული,
 ხილის მეფეს ეძახიან,
 თქვი, რა არის?

ნე

 უნდა ყლაპო ხშირ-ხშირად
 სიცხე თუ გაქვს მაღალი,
 დიდიც არის, პატარაც,
 თქვი, რა არის?

ბი

ბააკეთე შენი ხელით!

სახალისო სათამაშოების გაკეთება შენი ხელითაც შეგიძლია. ამისთვის დაგჭირდება გადაჭრილი პოლიეთილენის ბოთლი ან ძაბრი, სიმინდის ფქვილი, ბუშტი, ძაფი, ფუნჯი და ნებო.



გადაჭრილი ბოთლის ან ძაბრის საშუალებით ბუშტში ნახევრამდე ჩაყარე ფქვილი, დაპრესე და მოუჭირე ძაფი. გაბერე ბუშტი და თავი ისევ ძაფით მოუკარი.



აიღე საქსოვი ძაფი, ფერს მნიშვნელობა არ აქვს: თუ წითური გოგო გინდა გამოგივიდეს, წითელი ძაფი გამოიყენე, თუ ქერა – ყვითელი ძაფი დაგჭირდება. დაიხვიე ძაფი ხელზე ისე, როგორც ფოტოზეა ნაჩვენები, შუაში მოუჭირე ძაფი და გაჭერი. ეს თმები ძაფითვე მიამაგრე თოჯინას თავზე.



თვალეები, ცხვირი და ფეხები ფურცელზე დახატე, გამოჭერი და მიანებე თოჯინას, ლოყები ფლომასტრით გაუფერადე. დანარჩენი შენი ფანტაზიისთვის მოგვინდია — გინდა კაბა ჩააცვი, გინდა თმის სამაგრები გაუკეთე, ან თმის ვარცხნილობა შეუცვალე...



ბუბის ნამუთჟანი



ერთ ტოტსე ზის სამი მმა,
მილით განაბრეუბი;
თბილ ბუდეში ნამყოფი
ზაწაწინა ბუები.

ნისკარტები კაუჭა
აქვთ, კლანჭებსაც ლესავენ;
ისე ცმუკავს, ეველასე
ცუღლუტია მესამე.

ბურთივით გაფუეუღან
ბუმბულწამოშლილები;
დედა იქვე დაფრინავს,
მიეღიან შვილები.

დაქრის, იცის დიდთავამ –
ღამე ბუეების არის;
ბნელ სოროსთან წრუწუნას
დააცხრა, ვით ისარი.

შიათ,
საზრდო იენოსეს,
ზირს აღებენ დღაბები;
ლუკმას წამში სანსლავენ,
თვითონ ჩასაუღაბები.

ეურებს ცქვეტენ, დამსხდარნი
ერთურთის მიეოლებით;
თვალებს, ფართოს, გარშემო
მოვლებია რგოლები.

გული დამწუდა, გაუჭრეღ
წკვარამს შენავუები,
არ გვაჩვენეს ნორჩების
ბებიან-ბაბუები.

ის აჯობებს, რაც მალე
ვიხილავთ მათ გმირობას;
თავებებსა და ხვლიკებსე
სწავლობენ ნადირობას.

ფოთლებშუა ფაფუკი
კუდი გაკრთა თრითინის;
მუხის ტეიდან ჭოტების
ისმის კუთვა, ქვითინი.

გვიან, როცა მნათობმა
გაბრწუნა გარემო,
თქვა დედა ბუმ: თავი რად
შეიწუხა მთვარემო.

არაერთი საკბილო
გახდა ჩვენი წერაო;
მუქი სულ არ გვჭირდება,
ისეც გვიჭრის მხერაო.

გულადი ხარ, როდესაც
ხიფათს არ ებუები;
ფარფატებენ უღრანში
დიდ-ზატარა ბუები.

ცოტნა ცუცქირიკა, 7 წლის



ჯარჯი ყორნაშვილი, 5 წლის



სპორტსმენი



დაიკო მარიტა

რატო აქვს ორმოსფხვას ორმოსი ფხვი



ოდესღაც ორმოცფხვა ჩვეულებრივი მწერი იყო და სხვებივით ოთხი ფეხი ჰქონდა.

– რა კარგია, ოთხი ფეხი რომ მაქვს, – ამბობდა ის, – თუ მინდა, ნელა ვივლი, თუ მომიინდა – გავიქცევი. ჩემს ოთხ ფეხზე ადვილად როდი დავიღლები.

ერთხელ დედამ უთხრა:

– ძვირფასო, წყალი აღარ გვაქვს, წყაროზე წადი და მოიტანე.

– დაღლილი ვარ, – მიუგო ზარმაცუნამ, – ძალიან მტკივა ფეხები. ცოტას დავისვენებ და მერე მოვითან. შენ თვითონაც ხომ იცი, რომ ოთხი ფეხი ძალიან ცოტაა. აი, ექვსი ფეხი რომ მქონდეს, დაგეხმარებოდი.

გათენდა დილა და ჰოი, საოცრებავ – მას უკვე ექვსი ფეხი ჰქონდა!

დედას გაუხარდა, აი, ახლა კი დამეხმარება ჩემი შვილიო, მაგრამ პატარა მწერი მთელ დღეს დარბოდა, დახტოდა, მერე კი სადღაც გაცოცდა და შინ მხოლოდ შებინდებისას დაბრუნდა.

დედამ სთხოვა:

– ღუმლისთვის ფიჩხი გვჭირდება, წადი, მოიტანე. მდინარის პირას ბევრი ტოტები ყრია. შენ ხომ დამპირდი გუშინ, რომ დამეხმარებოდი.

– რას ამბობ, ფეხები დამეღალა. როგორც

ჩანს, ექვსი ფეხი ცოტაა. რვა ფეხი რომ მქონდეს, დაგეხმარებოდი.

დილით კიდევ ორი ფეხი მოემატა პატარას და უკვე რვა ფეხი გაუხდა.

– ვაშაა! – იყვირა გახარებულმა, – ახლა ფიჭვებთან მივბენასაც შევძლებ.

მთელ დღეს უსაქმოდ დარბოდა და საღამოს ძლივს მიხობდა სახლში.

დედამ შვილს უთხრა:

– მიდი, სუფრა გაშალე!

– ძალიან დავიღალე, – ამოიკენესა მან, – არ მინდა, არ შემიძლია, ძალა არ მაქვს. რვა ფეხიც ცოტაა, აი, ათი ფეხი რომ მქონდეს, დაგეხმარებოდი.

როგორც მიხვდით, ფეხები ყოველდღე ემატებოდა პატარა ეშმაკუნას. ბოლოს მას უკვე ორმოცი ფეხი ჰქონდა, მაგრამ ისევ ძველებურად უპასუხისმგებლო და დაუჯერებელი იყო.

– სულ ტყუილად ჯიუტობდი, ჩემო შვილო, – უთხრა დედამ, – ახლა შენ ორმოცი ფეხი გაქვს და თუ მინდორში ფეხშიშველი ირბენ, ძილის წინ ორმოცივე ფეხის დაბანა მოგიწევს ცვარით. ყინვებს რომ დაიჭერს, მერე ნახე, რამდენ ხანს მოუნდება ფეხსაცმლის ჩაცმას.

– დედიკო, სულაც არ მინდა ეს ორმოცი ფეხი, ოთხიც მშვენივრად მეყოფოდა. როგორ მოვიქცე? – ანუნუნდა პატარა.

– შენ სიზარმაცისა და ეშმაკობისთვის დაისაჯე. არ იჯავრო! ისევ ისე მხიარულად ირბენ ველმინდვრებზე, როგორც ადრე, მაგრამ დღეიდან ორმოცფხვას დაგიძახებენ!





სალომე
სულამანიძე
7 წლის



დამიატრა
მჭაფლიძე
2 წლის



სანდრო
სულამანიძე
4 წლის



მთავარი რედაქტორი: ღოდო ნიჭნივაძე
ნახატი ყდაზე: მალხაზ კუსაშვილისა
მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77
<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა
ფასი: 2.50 ლარი



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო



მწეხარა
სასლი

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.